ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №385068

ნომერი: AR181874

თარიღი : 20.09.2012

გაცემის თარიღი : 10.10.2012

გაცნობის თარიღი : 11.10.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქეთევან წამებული , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა ქარუხნიშვილი პ/ნ 01007002400
- თბილისი სამხრეთ ფარეხის ქ. N 84

ორგანიზაცია:

- ს.ს. ბაზისბანკი კოდი: 203841833

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 09/20/2012 წ. A181874 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის N310531 ბრძანების გაუქმებას .

სამსახურმა, თქვენი მოთხოვნიდან გამომდინარე, შეისწავლა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ 14.08.12 წელს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს მომართა ნინო ჭოხონელიძემ და მოითხოვა ძეგლზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად მშენებლობის ნებართვა. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.08.12 წლის №310531 ბრძანებით დაკმაყოფილდა განმცხადებლის მოთხოვნა. ამავე ბრძანების მე-4 მუხლით დაევალა განმცხადებელს წინამდებარე ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 1.5 თვის ვადაში მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეთა თანხმობისა და შენობის მდგრადობის შესახებ კონსტრუქციულ დასკვნის წარმოდგენა. ბრძანების მე-4 პუნქტით განისაზღვრა, რომ დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ნებართვა გამოცხადდება ძალადაკარგულად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ზემოაღნიშნული აქტი გამოცემულია ნინო ჭოხონელიძის მიმართ. შესაბამისად, ამავე კოდექსის საფუძველზე, საჭიროა მისივე თანხმობა (თანაგანმცხადებლად დარეგისტრირება) რათა აქტი გამოცხადდეს ძალადაკარგულად. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, დამკვეთის თანხმობის გარეშე, ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

აქვე დამატებით განგიმარტავთ, რომ დამკვეთის მიერ სამსახურში აქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია წარმოდგენილი არ არის. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი კი განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს თუ დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი. შსაბამისად, თუ დაინტერესებული მხარის – ნინო ჭოხონელიძის მიერ დადგენილ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია, 17.08.12 წლის №310531 ბრძანება ჩაითვლება ძალადაკარგულად.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge